4
3-745

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ლია გოქსაძე

ასპექტის ზოგიერთი სემანტიკური და პრაგმატიკული მახასიათებელი (ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენათა მასალაზე)

10.02.07 – ტიპოლოგიური და შედარებითი
ენათმეცნიერება

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2006

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო დარასელია,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი (10.02.04)

ოფიციალური ოპონენტები: 1. რუსუდან ასათიანი
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი (10.02.07)

2. რუსუდან კავთიაშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი (10.02.04)

დისერტაციის დაცვა შედგება 2006 წლის 28 ივნისს 13 საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული P.10.07. №7 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: თბილისი, 0128, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1,
I კორპუსი, 93-ე აუდიტორია.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

მისამართი: თბილისი, 0134, უნივერსიტეტის ქ. №2

ავტორეფერატი დაიგზავნა 2006 წლის 25 მაისს.

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი — რ. ქურდაძე

-2094-

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება თანამედროვე ენათმეცნიერებაში ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს – ასპექტის ზოგიერთ სემანტიკურ და პრაგმატიკულ მახასიათებელს (ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენათა მასალაზე).

ნაშრომის მიზანია შეისწავლოს ზმნის ასპექტის კატეგორიის სემანტიკა დისკურსის დონეზე, გამოავლინოს ასპექტის კატეგორიის ზოგიერთი პრაგმატიკული მახასიათებელი, კერძოდ ასპექტის დისკურსული ფუნქციები და აღნიშნული ენობრივი კატეგორიის მიმართება თავაზიანობის პრინციპებთან და სიციოლოგიურ ცნებასთან "სახე".

თემის აქტუალურობა განისაზღვრება იმით, რომ ნაშრომი წარმოადგენს ასპექტის კატეგორიის სემანტიკურ და პრაგმატიკულ მახასიათებლებს სამ ტიპოლოგიურად განსხვავებულ ენაში, იკვლევს აღნიშნული კატეგორიის სპეციფიკას თითოეულ ენაში და ამასთანავე ავლენს ენათშორის თანხვედრებსა და განსხვავებებს.

ნაშრომის სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ:

1. ასპექტი განხილულია დისკურსის კუთხით, მოცემულია ანალიზი ასპექტის კატეგორიის თავისებურებების წერითი თუ ზეპირმეტყველებითი დისკურსის სხვადასხვა ჟანრში.
2. განხილულია სამი ენის ასპექტური სემატიკა როგორც დროის კატეგორიასთან, ასევე ზმნის ასპექტურ სემანტიკასთან (აქციონ-ზარტთან) კავშირში.
3. ნაშრომში ასპექტის პრაგმატიკული მახასიათებლები განხილულია ორი თვალსაზრისით: 1. ასპექტი გაანალიზებულია "სახის" თეორიისა და თავაზიანობის პრინციპების თვალსაზრისით; 2. გამოვლენილია ასპექტის დისკურსული ფუნქციები, შესწავლილია ცალკეული ასპექტური ფორმის ილოკუციური ძალა დისკურსში.

საკვლევ მასალად გამოყენებულ იქნა წერითი და ზეპირმეტყველებითი დისკურსის ნიმუშები, საგაზეთო და საჟურნალო სტატიები, ტელე-რადიო რეპორტაჟები, მხატვრული ლიტერატურა, სამეცნიერო სტატიები, ოფიციალური და არაოფიციალური კორესპონდენცია.

კვლევის პრაქტიკული ღირებულება იმით განისაზღვრება, რომ იგი შეიცავს საინტერესო მასალას მათთვის, ვინც დაინტერესებულია ინგლისური, ქართული და რუსული გრამატიკის დროით-ასპექტური სემანტიკისა და პრაგმატიკის შესწავლით. ნაშრომში მოწოდებული მასალა შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც სასწავლო მასალა სპეცკურსებსა და სემინარებში ლინგვისტიკის დარგში.

ნაშრომის თეორიული ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ